



PIRLS
2026

ძირითადი კვლევა

**PIRLS ტესტირებისთვის
კომპიუტერების შემოწმება**



TIMSS & PIRLS
BOSTON COLLEGE

სარჩევი

- 1 PIRLS საპილოტე ტესტირების მოთხოვნებთან კომპიუტერების შესაბამისობა 4
- 2 კომპიუტერების შემოწმება PIRLS-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის
თვალსაზრისით 5
- 3 “Mini-player”-ის გაშვება PIRLS-ის მოთხოვნებთან შესაბამის კომპიუტერებში 9

შესავალი

ნებისმიერი კომპიუტერული ტესტირების შემთხვევაში, მოსწავლეებისთვის ტესტის წარდგენამდე აუცილებელია ტესტირებისთვის გამოყოფილი მოწყობილობების ტესტირების პროგრამული უზრუნველყოფასთან თავსებადობის შემოწმება.

იმისათვის, რომ დაგეხმაროთ თქვენი მოწყობილობების PIRLS-თან თავსებადობის შემოწმებაში, გთავაზობთ პროგრამებს, რომლებიც შექმნილია იმის საჩვენებლად, აკმაყოფილებს თუ არა თითოეული მოწყობილობა ტესტირების მინიმალურ მოთხოვნებს.

დამატებით შეგიძლიათ გამოიყენოთ მინი-პლეიერი (PIRLS mini-player), რათა დარწმუნდეთ, რომ მოწყობილობები სრულიად გამართულია ტესტირებისთვის. მიღწევის ტესტის მინი-პლეიერი ინგლისურ ენაზეა და მოიცავს მოსწავლის პროგრამაში შესვლის ფანჯარასა და მიღწევის ტესტის ინსტრუქციებს. მისი საშუალებით მოწმდება, ასევე, მიღწევის ტესტიდან მოსწავლის კითხვარზე ავტომატურად გადასვლის პროცესი.

გაუშვით შემოთავაზებული პროგრამები და მინი-პლეიერი იმ კომპიუტერებზე, რომელთა გამოყენებასაც გეგმავთ ძირითადი კვლევისთვის. ეს საშუალებას მოგცემთ, დაადგინოთ, კვლევისთვის განსაზღვრული კომპიუტერებიდან რამდენი არის PIRLS-თან თავსებადი.

1 PIRLS საპილოტე ტესტირების მოთხოვნებთან კომპიუტერების შესაბამისობა

იმისათვის, რომ მოსწავლეებს არ გაუჭირდეთ ეკრანზე ტექსტების წაკითხვა და შეკითხვებზე პასუხის გაცემა, ძალზე მნიშვნელოვანია, კომპიუტერები აკმაყოფილებდეს გარკვეულ სტანდარტებს, კერძოდ, ეკრანის გარჩევადობა (რეზოლუცია) 1280 x 800 ან 1366 x 768. დასაშვებია, ეკრანის ზომა (დიაგონალი) იყოს, სულ მცირე, 25 სმ (9.7 Inch). თუმცა რეკომენდებული არ არის ასეთი მცირე ზომის ეკრანიანი კომპიუტერების გამოყენება. ეს არსებითად გააუარესებს მოსწავლეთა მიერ ტექსტის აღქმას, დასჭირდებათ ეკრანზე ზემოთ-ქვემოთ „სქროლვა“ და ა. შ. რეკომენდებულია, ეკრანის ზომა იყოს **არანაკლებ 31 სანტიმეტრისა (12 inch)**.

იმისათვის, რომ ტექსტები სწორად იყოს ნაჩვენები, უმნიშვნელოვანესია, რომ ოპერაციული სისტემის საერთო მასშტაბირება (overall scaling) დაყენებული იყოს რეკომენდებულ (default) მნიშვნელობაზე და ტექსტის ზომა დაყენებული იყოს 100%-ზე.

ყოველ მოწყობილობას უნდა ჰქონდეს კლავიატურა და მაუსი. ყველა კომპიუტერი უნდა იყოს დაკავშირებული დენის წყაროსთან და ინტერნეტთან.

ონლაინ ტესტირების მინიმალური მოთხოვნები

ტესტირებისთვის განსაზღვრულ ყველა კომპიუტერზე გააქტიურებული უნდა იყოს JavaScript. რეკომენდებულია ბრაუზერის ვერსიის განახლება, თუმცა დასაშვებია ბოლო ორი ვერსიის გამოყენებაც. მკაცრად რეკომენდებულია ონლაინ ტესტირების პროგრამის გახსნა **Google Chrome** ბრაუზერში (ბოლო ვერსიაში, ისე, რომ ყველა განახლება დაინსტალებული იყოს). კომპიუტერის საოპერაციო სისტემა უნდა იყოს Microsoft Windows 11, ან MacOS 14 (ან შემდეგი ვერსია), ან iOS 17 (ან შემდეგი ვერსია).

სიმბოლო	აღნიშვნა	აღწერა	მოთხოვნა
	ეკრანის გარჩევადობა (რეზოლუცია)	ცალკეული პიქსელების რაოდენობა თითოეულ განზომილებაში, რომლებიც შეიძლება გამოჩნდეს ეკრანზე.	მინიმუმ 1280 * 800 1366 * 768
	ბრაუზერი	ინტერნეტ ბრაუზერი	მკაცრად რეკომენდებულია ბოლო განახლების გამოყენება
	JavaScript	სკრიპტინგის პროგრამირების ენა, რომელიც მუშაობს ვებ ბრაუზერზე, რათა ვებგვერდზე კონკრეტული ფუნქციები ფუნქციური გახადოს. თუ თქვენს ბრაუზერში JavaScript გამორთულია, ვებგვერდის შინაარსი ან ფუნქციონალი შეიძლება შეზღუდული ან მიუწვდომელი იყოს.	გააქტიურებული

2 კომპიუტერების შემოწმება PIRLS-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით


აუცილებელია წინასწარ შეამოწმოთ ყველა კომპიუტერი, რომელიც უნდა გამოიყენოთ PIRLS ტესტირების ფარგლებში. ეს უნდა სკოლის კომპიუტერებს, ასევე, დამატებით ლეპტოპებსაც, რომლებიც შესაძლოა ადმინისტრაციამ შემოგთავაზოთ სკოლის კომპიუტერებთან ერთად.

2.1. PIRLS ფლეიერის შესაბამისობის შეფასება – მიღწევის ტესტი

PIRLS Player-ის მოთხოვნებთან კომპიუტერის შესაბამისობის შესამოწმებლად მიჰყევით შემდეგ ინსტრუქციას:

ნაბიჯი 1. დააკოპირეთ ბმული: <https://pirls.am.rm.com/forms/show/id/2>


დასაკოპირებლად მონიშნეთ ბმული, დააჭირეთ მათს მარჯვენა ღილაკს და „copy“-ის (ზემოდან მეორე);



ნაბიჯი 2. გახსენით ბრაუზერი **გუგლ ქრომი** 


ნაბიჯი 3. თუ გუგლ ქრომში უკვე გახსნილი გაქვთ რომელიმე ვებგვერდი, დააჭირეთ + ნიშანს და გახსენით ახალი, ცარიელი გვერდი.


ნაბიჯი 4. თქვენი დაკოპირებული ბმული ჩასვით ცარიელი გვერდის საძიებო ველში “ctrl+v” ფუნქციის გამოყენებით და დააჭირეთ enter ღილაკს კლავიატურაზე, რომ ბმულზე გადახვიდეთ.

კომპიუტერი ავტომატურად შემოწმდება და შემოწმების დასრულების შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული გამოსახულება.



მწვანე ფონი და სიმბოლო “” აღნიშნავს შესაბამისობას, ხოლო წითელი ფონი და სიმბოლო “” ნიშნავს იმას, რომ ეს კონკრეტული ნაწილი/კონფიგურაცია შეუსაბამოა მოთხოვნებთან.

თუ მოცემული სამი ნაწილიდან რომელიმეს ექნება წითელი ფონი და სიმბოლო “”, კომპიუტერი არ უნდა იქნას გამოყენებული PIRLS ტესტირების ფარგლებში.



თუმცა, შესაძლებელია კომპიუტერის არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება მოცემულ სტანდარტამდე, რამდენიმე ფუნქციის აქტივაციის გზით. ამისათვის შეგიძლიათ მიმართოთ თქვენი სკოლის ან Emis-ის შესაბამის IT სპეციალისტს.

გაუმჯობესების გზები დეტალურად მითითებულია ქვემოთ:

1. Browser (საძიებო სისტემა Google Chrome)

PIRLS-ის კვლევის ელექტრონულად ჩატარება მოითხოვს ყველა კომპიუტერზე გუგლ ქრომის განახლებული ვერსიის არსებობას. ქრომის განახლებისთვის:

- ა) გახსენით ახალი ფანჯარა გუგლ ქრომში;
- ბ) დააწკაპუნეთ მარჯვენა ზედა კუთხეში (ფანჯრის დახურვის დილაკის ქვემოთ) სიგრძივად მოცემულ სამ წერტილზე;
- გ) ჩამოშლილი მენიუდან აირჩიეთ (დააწკაპუნეთ) Settings;
- დ) მარცხნივ ჩამოშლილი მენიუდან აირჩიეთ About Chrome;
- ე) გაიხსნება ფანჯარა, რომელშიც მითითებულია ქრომის ვერსიის ნომერი. თქვენს კომპიუტერში ქრომის ვერსიის ნომერი უნდა იყოს 130.0.-ზე მაღალი. ამ გვერდზე გადასვლისას ბრაუზერი ავტომატურად განახლდება. გვერდით, საჭიროების შემთხვევაში, მოცემული იქნება ბრაუზერის ხელახალი განახლების (relaunch) შესაძლებლობა. დააწკაპუნეთ და განაახლეთ ბრაუზერი.

დახურეთ ყველა ფანჯარა.

2. JavaScript

იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ტესტირების პროგრამის გაშვება კომპიუტერში, საჭიროა, მასში გააქტიურებული იყოს JavaScript. ამისათვის:


- ა) გახსენით ახალი ფანჯარა გუგლ ქრომში;
- ბ) დააწკაპუნეთ მარჯვენა ზედა კუთხეში სიგრძივად მოცემულ სამ წერტილზე;
- გ) ჩამოშლილი მენიუდან აირჩიეთ (დააწკაპუნეთ) Settings;
- დ) მარცხნივ ჩამოშლილი მენიუდან აირჩიეთ Privacy and Security;
- ე) გახსნილ ფანჯარაში ქვემოთ დააწკაპუნეთ Site settings;
- ვ) ამის შემდეგ გახსნილ ფანჯარაში დააწკაპუნეთ JavaScript;
- ზ) ფანჯრის Default behavior ნაწილში მონიშნეთ Sites can use JavaScript.

დახურეთ ყველა ფანჯარა.

3. Screen resolution (ეკრანის რეზოლუცია)

PIRLS ტესტირების პროგრამა შექმნილია ეკრანის რეზოლუციისთვის 1280x800, 1366x768 ან მეტი.

თქვენი კომპიუტერის ეკრანის რეზოლუციის შესამოწმებლად:

- ა) დააწკაპუნეთ სტარტის ღილაკზე ეკრანის მარცხენა ქვედა კუთხეში 
- ბ) აირჩიეთ Settings;
- გ) ამის შემდეგ გახსნილ ფანჯარაში აირჩიეთ Display;
- დ) Scale & layout ნაწილში შეამოწმეთ Display resolution. ის უნდა შეესაბამებოდეს ზემოთ მითითებულ მოთხოვნას. ამავე ნაწილში შეამოწმეთ Scale - ის უნდა იყოს 100%.

დახურეთ ყველა ფანჯარა.

კომპიუტერის არსებული მონაცემების გაუმჯობესების შემდეგ კიდევ ერთხელ გაუშვით შესაბამისობის შესაფასებელი ბმული. მნიშვნელოვანია, რომ სამივე ნაწილში მიიღოთ მწვანე ფონი.

შესაბამისობის შეფასების შედეგების წარმოდგენა

შემოწმების შემდგომ მოინიშნეთ რომელი კომპიუტერები შეესაბამებოდა მოთხოვნებს და რომლები - არ შეესაბამებოდა. თუ სკოლის კომპიუტერებს განსაზღვრული აქვთ ინდივიდუალური ნომერი ან კოდი, ცალკე ფურცელზე ამ კოდების გასწვრივ მიაწერეთ კომპიუტერი გამოსადეგია PIRLS ტესტირებისთვის, თუ - არა. ეს დაგეხმარებათ PIRLS ტესტირების სესიისთვის მომზადებაში. მნიშვნელოვანია, ჩაინიშნოთ ყველა კომპიუტერის შესაბამისობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც უნდა გამოიყენოთ ტესტირებისთვის. თუ

იყენებთ ლეპტოპს ან კომპიუტერს, რომელსაც არ აქვს განსაზღვრული რაიმე ნომერი ან კოდი, დროებით, ტესტირების დასრულებამდე, მიაკარით მას უნიკალური, სხვა კომპიუტერებისგან განსხვავებული, ნომერი.

თუ კომპიუტერი PIRLS ტესტირებისთვის შესაბამისია, შემდეგი ეტაპი მისი შესაბამისობის შემოწმებაა PIRLS „Mini-Player“-ის მოთხოვნებთან. პროცესი დეტალურად არის გაწერილი სახელმძღვანელოს მომდევნო ნაწილში.

3 “Mini-player”-ის გაშვება PIRLS-ის მოთხოვნებთან შესაბამის კომპიუტერებში

ეს ტესტი უნდა გაუშვას ყველა კომპიუტერში, მას შემდეგ რაც პირველი შეფასება წარმატებით ჩაივლის (სამივე ნაწილში გამოჩნდება მწვანე ფონი და სიმბოლო „✓“), რათა დარწმუნდეთ, რომ პროგრამა მთლიანად გამართულად მუშაობს.

„mini-player“ არის ინგლისურად, რადგან ის პროგრამასთან კომპიუტერის შესაბამისობის შესაფასებლად გამოიყენება და მოსწავლეს მასთან შეხება არ აქვს. „mini-player“ მოიცავს მოსწავლის ტესტის პროგრამაში შესასვლელ პირველ გვერდს და ტესტის შესასრულებლად საჭირო ინსტრუქციებს. ის იძლევა, ასევე, ტესტიდან კითხვარზე გადასვლის პროცესის შემოწმების საშუალებას, რაც თავსებადობის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია.

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ შესაბამისობის შეფასების ინსტრუქციას და მიყვეთ განსაზღვრულ ნაბიჯებს:

ნაბიჯი 1. იმისთვის, რომ “mini-player” ჩართოთ, გამოიყენეთ შემდეგი ბმული: <https://pirls.am.rm.com/engine/index.php/lms/login/path/pirls>

დააკოპირეთ ბმული და ჩასვით გუგლ ქრომის თავისუფალ გვერდზე საძიებო ველში.




ნაბიჯი 2. გაიხსნება მოსწავლის გვერდი, რომელშიც უნდა შეიყვანოთ შესაბამისი სახელი (მოსწავლის ID) და პაროლი.




„mini-player“-ში შესასვლელად გამოიყენეთ შემდეგი რეკვიზიტები:

მოსწავლის ID	პაროლი
99930001	60998
99930002	60162
99930003	60846
99930004	60592
99930005	60395


თუ საჭიროა, დააჭირეთ **F11**-ს იმისათვის, რომ “mini-player” გაიხსნას მთლიან ეკრანზე.

სიმბოლო  არის **მოსწავლის ID-ის** ჩასაწერად, სიმბოლო  კი **პაროლისთვის**. მას შემდეგ, რაც ჩაწერთ მოსწავლის ID-ისა და პაროლს ზემოთ მოცემული ცხრილიდან (პირობითად, პირველი ID და მისი შესაბამისი პაროლი), დააჭირეთ **ისრიან** ღილაკს  რათა განაგრძოთ შემოწმება.

ტესტირების პროგრამაში შესვლის შემდეგ გამოჩნდება ქვემოთ მოცემული ფანჯარა „**Directions**“ (ინსტრუქციები).




ამჯერად, ინსტრუქციების გვერდზე გადასასვლელად **Password (პაროლის)** გრაფაში შეიყვანეთ **0000** და დააჭირეთ **Start (დაწყების) ისრიან** ღილაკს. ისრიან ღილაკზე დაჭერის შემდეგ გამოჩნდება შემდეგ გვერდზე მოცემული გამოსახულება.




შემდეგ გვერდზე გადასასვლელად გამოიყენეთ უკრანის მარჯვნივ მოცემული ნარინჯისფერი სამოძრაო ზოლი, რომელიც სამ ნაწილადაა დაყოფილი. თითოეული ნაწილი ახალ გვერდს შეესაბამება. მომდევნო გვერდზე გადასასვლელად შეგიძლიათ დააჭიროთ ზემოთ-ქვემოთ მიმართულ ისრებს.

თუ გინდათ ნახოთ PIRLS ტესტირების ფარგლებში გამოყენებული შეკითხვების ნიმუშები, ისრით გადადით მეორე გვერდზე და ეკრანის ქვემოთ შუაში მოცემულ **Questions (შეკითხვები)** დააჭირეთ.



შეკითხვების დასათვალიერებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ეკრანის ბოლოში მოცემული ისრები.



მაგალითის სახით სულ 3 შეკითხვაა მოცემული. იმისთვის, რომ გამოტოვოთ შეკითხვების ნიმუშები, ისრით გადადით მე-3, ბოლო გვერდზე, რომელსაც ქვია Class Projects (საკლასო პროექტები).


PIRLS
2026

IEA TIMSS & PIRLS
BOSTON COLLEGE

Class Projects

Some of you will read webpages and answer questions. A "teacher" on the screen will guide you through the task by telling you what to do. Click on the Next button below to see an example of such a task.

Next →



საკლასო პროექტებზე გადასასვლელად დააჭირეთ ღილაკს **Next (შემდეგი)**. გაიხსნება გვერდი Benefits of the World's Oceans (მსოფლიო ოკეანეები სარგებელი), რომელიც მოცემულია შემდეგ გამოსახულებაზე.


PIRLS
2026

IEA TIMSS & PIRLS
BOSTON COLLEGE


http://www.oceans.org/world

Benefits of the World's Oceans

Benefits of the World's Oceans




Home



Interview


Because more of Earth is covered by ocean than by land Earth looks like a beautiful blue marble from outer space. Around 70% of Earth's surface is ocean water. We get much of the air we breathe, water we drink, and food we eat from the oceans.

THE AIR WE BREATHE



Plants in the oceans produce over half of our oxygen.

THE FOOD WE EAT



The sea provides many foods.

Geographers have divided the water surrounding the continents into five major oceans: Pacific, Atlantic, Indian, Arctic, and Southern. The water is connected from ocean to ocean. Ocean currents carry the water back and forth across all the oceans. You can see this by looking at the [map of Earth](#).

ePIRLS Class Project


Mr. Webster
You will read from the webpages on the left side of the screen. Questions about what you have read will appear here. You may need to scroll down to see all information.

Mr. Webster
A red border will show you the question you need to answer. Click SAVE to save your answer. If you need to answer a question, click SAVE to move on.


Mr. Webster
After you click SAVE, you will not be able to change that answer until you have reached the end of the questions.

1.
What is your favorite part of the ocean?


Student




დააჭირეთ ქვედა მარჯვენა კუთხეში მოცემულ ღილაკს **SAVE (შენახვა)**, რათა გადახვიდეთ შემდეგ გვერდზე. გამოჩნდება ქვემოთ მოცემული გვერდი, რომელზეც ასახულია გუგლ-ში ძიების შედეგები.




დაჭირეთ მარჯვენა ქვედა კუთხეში მოცემულ ღილაკს **LOG OUT (გამოსვლა)**, რათა გადახვიდეთ შემდეგ გვერდზე. გაიხსნება ინსტრუქციების ბოლო გვერდი, როგორც მოცემულია მომდევნო გამოსახულებაზე.




დააჭირეთ ღილაკს **Next**, რომ განაგრძოთ პროგრამის შემოწმება. პროგრამაში გაიხსნება მოსწავლის კითხვარში შესასვლელი გვერდი (იხ. მომდევნო გამოსახულება).




გთხოვთ, შეიყვანოთ პაროლი **1451** და დააჭიროთ ისრიან ღილაკს **Start** (დაწყება) , რათა შეხვიდეთ მოსწავლის კითხვარში.

შემდეგ გვერდზე გამოჩნდება ისრიანი ღილაკი , დააჭირეთ მას გასაგრძელებლად.



ისრიან ღილაკზე დაჭერის შემდეგ გამოჩნდება *მოსწავლის კითხვარის* შემოწმების გვერდი.

შესაძლებელია, რომ ეკრანზე გამოჩნდეს შემდეგი შეტყობინება: „This site can't be reached“ (ეს ვებგვერდი მიუწვდომელია), როგორც ეს მოცემულია შემდეგ გამოსახულებაზე.



ამ შემთხვევაში,

(1) კომპიუტერი შესაძლოა არ იყოს დაკავშირებული ინტერნეტთან. პირველ რიგში, გთხოვთ, გადაამოწმოთ კომპიუტერის ინტერნეტთან კავშირი:

1. თუ ინტერნეტი კომპიუტერს კაბელით უკავშირდება, შეამოწმეთ, ხომ არ არის კაბელი გამოერთებული, ან სუსტად შეერთებული. ხელახლა შეაერთეთ კაბელი და გაიმეორეთ ტესტი;

2. თუ ინტერნეტი კომპიუტერს უკაბელოდ (wifi) უკავშირდება, შეამოწმეთ, ხომ არ არის გათიშული უკაბელო ინტერნეტის მომწოდებელი მოდემი (როუტერი). თუ ის გამორთულია, ჩართეთ და ხელახლა დატესტეთ პროგრამა. თუ მოდემი ჩართულია, მაგრამ კომპიუტერი ვერ უკავშირდება ინტერნეტს, გადატვირთეთ (გამორთეთ და თავიდან ჩართეთ) კომპიუტერი და შეამოწმეთ, დაუკავშირდა თუ არა ამჯერად. თუ დაუკავშირდა, ხელახლა შეამოწმეთ ტესტირების პროგრამა. თუ კომპიუტერი კვლავაც არ უკავშირდება ინტერნეტს ან ზემოთ აღწერილ ოპერაციებს თავად ვერ ასრულებთ, შესაძლოა დაგჭირდეთ სკოლის IT პერსონალის დახმარება.

გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა ინტერნეტი გათიშული იყოს მთელ სკოლაში. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია კომპიუტერები შეამოწმოთ ინტერნეტის მიწოდების აღდგენის შემდეგ.


(2) ვებგვერდი შესაძლოა დაბლოკილი იყოს უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე. აღნიშნულ შემთხვევასთან გასამკლავებლად დაგჭირდებათ სკოლის IT პერსონალის დახმარება.


მითითებები სკოლის IT პერსონალისთვის:


შეამოწმეთ დაშვებულია თუ არა წვდომა ქვეყნის გარეთ არსებულ ვებგვერდებზე. შესაძლოა სკოლის ადგილობრივი ან ცენტრალური ქსელი ბლოკავდეს წვდომას ან მონაცემთა გაცვლას ქვეყნის გარეთ არსებულ სერვერებზე. დაგჭირდებათ ვებგვერდის ე. წ. „თეთრ ნუსხაში“ (whitelist) გადატანა. გთხოვთ, ვებგვერდი თეთრ ნუსხაში არ გადაიტანოთ IP მისამართის გამოყენებით, რადგან ის დინამიკურია და იცვლება.



თუ კომპიუტერი კვლევის ფარგლებში გამოიყენება სხვადასხვა სესიაზე (სხვადასხვა მოსწავლის ტესტირებისთვის), დარწმუნდით, რომ ბრაუზერის ავტომატური შევსების ფუნქცია გამორთულია, რათა თავიდან აიცილოთ წინა სესიაზე მყოფი მოსწავლის ID და პაროლის ავტომატურად ჩაწერა ახალ სესიაზე, ახალი მოსწავლის მონაცემების ნაცვლად.


თუ ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემა არ არის, გამოგიჩნდებათ შემდეგი გამოსახულება:




დაჭირეთ მწვანე ღილაკს . თუ გამოჩნდა შემდეგ გამოსახულებაზე მოცემული ნიშანი, კომპიუტერზე შესაძლებელია მოსწავლის კითხვარის ჩართვა.



იმ შემთხვევაში, თუ  ღილაკზე დაჭერის შემდეგ გამოგიჩნდათ წითელი X , როგორც ეს მოცემულია მომდევნო გამოსახულებაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენმა კომპიუტერმა დაკარგა ინტერნეტთან კავშირი ტესტის მიმდინარეობისას.



შეამოწმეთ კომპიუტერის ინტერნეტთან კავშირი და გაიმეორეთ ტესტი მანამ, სანამ არ მიიღებთ ზემოთ მოცემულ მწვანე გამოსახულებას.

თუ გვერდის გახსნისთვის დიდი დროა საჭირო (2-3 წუთი), შესაძლოა ეკრანზე გამოჩნდეს ლოდინის სიმბოლო „“ (იხ. მომდევნო გამოსახულება).



ეს იმას ნიშნავს, რომ ინტერნეტთან კავშირი სუსტია ან კომპიუტერს ინტერნეტი ძალიან დაბალი სიჩქარით მიეწოდება.

თუ მოსწავლეების კითხვარზე ავტომატურად გადასვლის პრობლემაა, ტესტის ჩამტარებლებს მივაწოდებთ ბმულს, რომელსაც პირდაპირ ბრაუზერში (გუგლ ქრომში) ჩაწერენ. ამგვარად გაიხსნება **მოსწავლის კითხვარზე შესასვლელი გვერდი**, რომელშიც მოსწავლის ID და პაროლი უნდა ჩაიწეროს, როგორც წინა შემთხვევაში.

გთხოვთ, თუ კითხვარზე გადასვლისას პრობლემა შეგექმნებათ, გადაუდოთ ეკრანს ფოტო, ან ვიდეო და მოგვაწოდოთ მეილზე: Pirls.Georgia@ncer.gov.ge

დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის!

**PIRLS ტესტირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კომენტარი /შენიშვნა
შეგიძლიათ მოგვწეროთ მეილზე:**

Pirls.Georgia@ncer.gov.ge



**BOSTON
COLLEGE**

timssandpirls.bc.edu